ხელშეკრულება № E-07

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2021 წ.

ერთი მხრივ, შპს "საქართველოს ფოსტა", წარმოდგენილი მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ლაშა ჯაფარიძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „ტრანსვეი ლოჯისტიკი"-ს დირექტორი თამარ ბოჭორიშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე (სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა #SMP210000408) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ავტყოსატრანსპორტო საშუალების ავტოსადგომზე შენახვა მიმწოდებლის ავტოსადგომზე უშუალოდ დამკვეთის ან/და საპატრულო პოლიციის მოთხოვნით, სახელმწფო შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. (cpv-;63712400 ავტოსადგომთა მომსახურებები)

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ***485. (ოთხასოთხმოცდახუთი)*** ლარს დღგ-ს ჩათვლით,
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
2.3. შემსყიდველი არ არის ვალდებული შეიძინოს ხეშეკრულების ღირებულების ოდენობის მომსახურება მიმწოდებლისგან.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 1 (ერთი) კალენდარულ დღეში.
3.2. ხელშეკრულებითს შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა 19 თებერვლის ჩათვლით.
3.3. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ.რუსთავი 21 მკრ-ის მიმდებარედ.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს "საქართველოს ფოსტის" **ტრანსპორტის მიმართულების ხელმძღვანელი ნიკა ქავთარაძე.**

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. **შემსყიდველის უფლება აქვს:**

5.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

5.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. მიმწოდებელთან ***ანგარიშწორება ხორციელდება 5(ხუთი) სამუშაო დღეში***. 6.2. პუნქტში მითითებული მოთხოვნების საფუძველზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა
8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. სადავო საკითხების გადაწყვეტა
9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების კონტროლი
10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს ფოსტის“ **ტრანსპორტის მიმართულების ხელმძღვანელი ნიკა ქავთარაძე.**
10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
10.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 18 მარტის ჩათვლით.

მუხლი 12. განსაკუთრებული პირობები

12.1. .ხელშეკრულება შედგენილია 1 (ერთი) ელექტრონულად ხელმოწერილ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“
შპს ,,საქართველოს ფოსტა“
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ს/კ 203836233
ბანკი: სს “საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE13BG0000000123286800

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ლაშა ჯაფარიძე

“მიმწოდებელი“
შპს „ტრანსვეი ლოჯისტიკი“
მის.ქ. თბილისი დაბა ლილო
ს/კ404872973
ბანკი: სს „თი ბი სი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE59TB7741136080100001

დირექტორი

თამარ ბოჭორიშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2021 წ.

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, შპს „ტრანსვეი ლოჯისტიკი" -სგან შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერსთა კონფლიქტს.

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი - ლაშა ჯაფარიძე

შესყიდვების სამსახურის უფროსის - ვაჟა პოპიაშვილი

ტრანსპორტის მიმართულების ხელმძღვანელი - ნიკა ქავთარაძე